20.09.2018

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის აგვისტო

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0,5 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასები 0,7 პროცენტით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე ფასები შემცირდა 0,2 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 6,0 პროცენტით. ფასების 4,0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე. ფასები 14,1 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე 8,2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის აგვისტოში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის აგვისტოსთან	წლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**106.0**	**5.98**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**108.2**	**0.26**
D	**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**104.0**	**3.16**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	103.7	1.63
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	108.2	0.58
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**114.1**	**2.57**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge